

„ უძრავ ქონებაზე იძულებითი აღსრულების ხარვეზები და მათი გადაჭრის
გზები“

(შედარებითი ანალიზი საქართველოსა და აშშ-ს სამართლის მიხედვით)

მარინა ფიდუაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელისაბედაშვილი დავით, დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის თემას წარმოადგენს სააღსრულებო წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხის, კერძოდ, უძრავი ქონების იძულებითი აღსრულების დროს პრობლემური საკითხების გამოკვეთა, მათი განხილვა და აშშ-ს ერთ-ერთი შტატის კანონმდებლობასთან შედარებითი ანალიზის განხორციელება. აღნიშნული თემა აქტუალურია, რადგან სააღსრულებო წარმოება საქართველოში ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა, შესამაბისად, არსებობს არა ერთი მოსაწესრიგებელი საკითხი, რაც პრაქტიკაში უძრავი ქონების იძულებითი აღსრულებისას პრობლემებს წარმოშობს.

წინამდებარე ნაშრომის ძირითადი ამოცანა არის იქნეს გაანალიზებული და გამოკვეთილი ის სირთულეები და ხარვეზები, რაც ახასიათებს იძულებითი აღსრულების წარმოებას საქართველოში და კალიფორნიის შტატში. შედერაბის საფუძველზე მოხდეს იმის დადგენა, თუ რამდენად აისახება ხარვეზები პირთა უფლებებზე პრაქტიკაში და მოხდეს ხარვეზების გამოსწორებისათვის იდეების ჩამოყალიბება.

თემის შინაარსმა განაპირობა ნაშრომის ჩამოყალიბებული სტრუქტურა. შესავალში მოცემულია სააღსრულებო წარმოების ზოგადი მიმოხილვა. დასახული მიზნები ნაშრომის ძირითად ნაწილში ქმნიან საგნის დახასიათებას, აღნიშნული საგნის თვალსაჩინოდ წარმოჩენის შესაძლებლობას. ნაშრომის დასკვნით ნაწილში მოხდა გარკვეული დასკვნების ჩამოყალიბება და პრობლემური საკითხების გადაჭრის გზების ჩამოყალიბება.

Abstract

The thesis of my course is the most problematic issues of enforcement proceeding, in particular, problems during of the enforcement proceeding of real estate, condideration of these issues on the basic of California law conducting corporative analisys. This topic is relevant as long as enforcement proceeding at the stage of development in Georgia. So, we have not one issue, which creates problems in practice.

The task of this work is to reveal difficulties and inaccuracies, which characterize the enforcement proceeding in Georgia and in California. Based on a corporative analysis to establish, how these issues affect on people's rights and to find ways to overcome difficulties.

The thesis has several parts. The introduction gives a general description the enforcement proceeding. Second part of the thesis the intended goals contribute to the consideration of the subject. In conclusion summed up the consideration of the issues and suggested ways to silve problem.